7

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის ---- თებერვალი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, #29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს #1 საბავშვო ბაგა-ბაღის და #29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის #11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის

თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 11 თებერვლის 48-4826042131 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას **ქალაქ წყალტუბოში, #29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს #1 საბავშვო ბაგა- ბაღის და #29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის #11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს **ქალაქ წყალტუბოში, #29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს #1 საბავშვო ბაგა- ბაღის და #29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის #11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ** და შევიდეს ცვლილება 2014 წლის 3 სექტემბრის ,,მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასა'' და 2016 წლის 22 აგვისტოს ,, მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ'' N33 ხელშეკრულებაში.

   2 .კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826042131**
თარიღი: **11/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით განხორციელდა ქალაქ წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა-ბაღისა (საკ.კოდი N29.08.34.110) და სოფელ გეგუთის N11 საბავშვო ბაღის (საკ.კოდი N29.14.38.110) სრული რეაბილიტაცია, რომლის შეგეგადაც აღნიშნულ საბავშვო ბაღებს დაემატათ ახალი დამხმარე შენობა-ნაგებობები, რომლებიც ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' ბალანსზე არ ირიცხება.

ამასთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' დირექტორის წერილი, (თან ერთვის), რომელიც ითხოვს გაერთიანებას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეთ ახლადაშენებული შენობა-ნაგებობები და შეტანილ იქნას ცვლილება შესაბამის ხელშეკრულებებში. .

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ გასცეთ თანხმობაა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას'' სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს:

N29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა-ბაღის და N29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის N11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა-ნაგებობები და შევიდეს შესაბამისი ცვლილება 2014 წლის 3 სექტემბრის ,,მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასა'' და 2016 წლის 22 აგვისტოს ,, მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ'' N33 ხელშეკრულებაში.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების
გაერთიანება

წერილის ნომერი: **41-4826041155**
თარიღი: **10/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: რუსთაველის ქ.N 25

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგახსენებთ,რომ ს.ს.ი.პ. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით განხორციელდა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქალაქის N1 (მდებარე ბესიკის ქ.N17)

საბავშვო ბაგა-ბაღის და სოფ.გეგუთის N11 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.რეაბილიტაციის პროცესში აღნიშნულ საბავშვო ბაღებს დაემატა ახალი დამხმარე შენობა-ნაგებობები,რომლებიც გაერთიანების ბალანსზე არ იმყოფება.

გთხოვთ შეიტანოთ ცვლილებები N1 საბავშვო ბაგა-ბაღის (ს.კ N29.08.34.110) 22.08.2016 წლის N 33 და სოფ.გეგუთის N11 საბავშვო ბაღის (ს.კ N29.14.38.282)3.09.2014 წლის ხელშეკრულებებში და უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოგვცეთ აღნიშნულ საბავშვო ბაღებში დამატებით აშენებული ახალი დამხმარე შენობა-ნაგებობები.

გიორგი იობიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების
გაერთიანება-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

ქ. წყალტუბო

3 სექტემბერი 2014 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით (შემდგომში „მესაკუთრე") გადასცემს, ხოლო ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება", დირექტორის გოჩა ჯიქიას სახით (შემდგომში „უზუფრუქტუარი") წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 სექტემბრის №31 252 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე მუნიციპალური საკუთრების შენობას ღირებულებით 83682.8 ლარი და მასზე დამაგრებულ 5945.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ღირებულებით 17207.2 ლარი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად მესაკუთრე დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცემს, ხოლო „უზუფრუქტუარი" იღებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ უძრავ ნივთს.

1.2. ამ ხელშეკრულების მიხედვით უზუფრუქტის საგანს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, თანახმად 01/09/2014 წელს მომზადებული ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან. განაცხადის რეგისტრაციის №882014451778, თარიღი 25/08/2014 წელი.

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი № 29.14.38.282
რეგისტრაციის ზონა - წყალტუბო, კოდი – 29.
სექტორი გეგუთი -14.
კვარტალი 38. ნაკვეთი №282.
ფართობი დაზუსტებელი – 5945.0 კვ.მ.
საგადასახადო გირავნობის / იპოთეკის უფლება: არ არის დატვირთული,
ყადაღა: არ არის რეგისტრირებული

2. მუნიციპალური ქონების გადაცემის წესი

2.1. მუნიციპალიტეტის საკრებულო ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად აფორმებს „უზუფრუქტუარზე" გადასაცემი მუნიციპალური ქონების მიღება-ჩაბარების აქტს.

3. მხარეთა უფლება ვალდებულებანი

3.1. „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია, უზუფრუქტის ფორმით აღებული მუნიციპალური ქონება გამოიყენოს პირდაპირი დანიშნულებით და იქონიოს იგი სრულ წესრიგსა და სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში.

3.2. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია ორი კვირით ადრე აცნობოს „მესაკუთრეს" მუნიციპალური ქონების განთავისუფლების შესახებ და იგი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ჩააბაროს.

3.3. „უზუფრუქტუარს“ შეუძლია „მესაკუთრესთან" შეთანხმებით, საკუთარი სახსრებით აწარმოოს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია „უზუფრუქტუარის" საქმიანობასთან. აღნიშნულ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები „მესაკუთრის" მხრიდან არ ანაზღაურდება.

3.4. „მესაკუთრეს“ შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ „უზუფრუქტუარი“:

ა/ დანიშნულებისამებრ არ იყენებს მუნიციპალურ ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ბ/ განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს მუნციპალური ქონების მდგომარეობას.

3.5. აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში, „მესაკუთრე" ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს „უზუფრუქტუარს“ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში „უზუფრუქტუარმა" არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი „მესაკუთრე" უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება დადგენილი წესით.

3.6. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია გადაიხადოს უზუფრუქტის ფორმით აღებული მუნიციპალური ქონების კომუნალური მომსახურების გადასახადი მუნიციპალიტეტში დადგენილი ტარიფებისა და წესის მიხედვით, რაზედაც აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის ორგანიზაციასთან, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში.

3.7. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მესაკუთრეს" თუ ქონება განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

3.8. „უზუფრუქტუარი" პასუხს არ აგებს ქონების ნორმატიული ცვეთისათვის. იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე იზრუნოს ქონების ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის.

3.9. "უზუფრუქტუარს" უფლება აქვს "მესაკუთრესთან" შეთანხმებით სარგებლობის უფლებით გასცეს შენობა ან მისი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მხარეების პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი.

4.1. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4.2. უზუფრუქტის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე „უზუფრუქტუარსა" და „მესაკუთრეს" შორის წამოჭრილი სადავო საკითხები განიხილება ურთიერთშორის შეთანხმებით.

4.3. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
5.2. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ :
ა/ ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ" შეწყვიტა არსებობა.
ბ/ მუნიციპალური ქონება განადგურდა „უზუფრუქტუარისაგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად.
გ/ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულს თანაბარი ძალა აქვს.
6.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი დავა იხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კონსტანტინე მამუკელაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
გამგებელი

გოჩა ჯიქია

ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა
გაერთიანება"-ს დირექტორი

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. წყალტუბო 3 სექტემბერი 2014 წელი.

ამ აქტით დასტურდება, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილის სახით (შემდგომში „მესაკუთრე") გადასცემს, ხოლო ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება", დირექტორის გოჩა ჯიქიას სახით (შემდგომში „უზუფრუქტუარი") წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 სექტემბრის №31 252 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე მუნიციპალური საკუთრების შენობას ღირებულებით 83682.8 ლარი და მასზე დამაგრებულ 5945.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ღირებულებით 17207.2 ლარი.

ჩავაბარე:
კონსტანტინე მამისეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ჩავიბარე:
გოჩა ჯიქია

ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა
გაერთიანების" დირექტორი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 33

მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

ქ. წყალტუბო

22 აგვისტო 2016 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მინდობილი პირის მარეხი კანკაძის სახით (2016 წლის 06 ივნისის მინდობილობა) (შემდგომში „მესაკუთრე") გადასცემს, ხოლო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" მმართველის მოადგილის ნინო კუჭუხიძის (პ/ნ 53001024038) სახით (შემდგომში „უზუფრუქტუარი") წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აგვისტოს №31 1038 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №17–ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას: საბავშვო ბაგა–ბაღის შენობას და მასზე დამაგრებულ 4219.0 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. საკ. კოდი №29.08.34.110. (ნაკვეთის წინა ნომერი: 29.08.07.096)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების შესაბამისად „მესაკუთრე" დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცემს, ხოლო „უზუფრუქტუარი" იღებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ უძრავ ნივთს.

1.2. ამ ხელშეკრულების მიხედვით უზუფრუქტის საგანს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება: საბავშვო ბაგა–ბაღის შენობა და მასზე დამაგრებული 4219.0 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის წინა ნომერი: 29.08.07.096) მდებარე, ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №17–ში თანახმად, 22/08/2016 წელს მომზადებული ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან. განაცხადის რეგისტრაციის №882016542296 თარიღი 22/08/2016 წელი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №29.08.34.110.
რეგისტრაციის ზონა წყალტუბო – 29.
სექტორი 08.
კვარტალი 34. ნაკვეთი 110.
ფართობი დაზუსტებული 4219.0 კვ.მ.
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება: არ არის დატვირთული.
ყადაღა: არ არის რეგისტრირებული.

2. მუნიციპალური ქონების გადაცემის წესი

2.1 მუნიციპალიტეტის გამგეობა ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად აფორმებს „უზუფრუქტუარზე" გადასაცემი მუნიციპალური ქონების მიღება–ჩაბარების აქტს.
2.2 მიღება–ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მხარეთა უფლება ვალდებულებანი

3.1. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია, უზუფრუქტის ფორმით მიღებული მუნიციპალური ქონება გამოიყენოს პირდაპირი დანიშნულებით და იქონიოს იგი სრულ წესრიგსა და სანიმუშო სანიტარულ მდგომარეობაში.

3.2. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია ორი კვირით ადრე აცნობოს „მესაკუთრეს" მუნიციპალური ქონების განთავისუფლების შესახებ და იგი მიღება–ჩაბარეის აქტის მიხედვით ჩააბაროს.

3.3 „უზუფრუქტუარს" შეუძლია „მესაკუთრესთან" შეთანხმებით, საკუთარი სახსრებით აწარმოოს ქონების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, აგრეთვე სხვა სამუშაოები. აღნიშნულ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები „მესაკუთრის" მხრიდან არ ანაზღაურდება.

3.4. „მესაკუთრეს" შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ „უზუფრუქტუარი":
ა/ დანიშნულებისამებრ არ იყენებს მუნიციპალურ ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობებს.
ბ/ განზრახ, უხეში გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით აუარესებს მუნიციპალური ქონების მდგომარეობას.

3.5. აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში, „მესაკუთრე" ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს „უზუფრუქტუარს" ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში „უზუფრუქტუარმა" არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი „მესაკუთრე" უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება დადგენილი წესით.

3.6. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „მესაკუთრეს" თუ ქონება განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

3.7. „უზუფრუქტუარი" პასუხს არ აგებს ქონების ნორმატიული ცვეთისათვის, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე იზრუნოს ქონების ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის.
3.8. „უზუფრუქტუარი" ვალდებულია გადაიხადოს უზუფრუქტის ფორმით აღებული მუნიციპალური ქონების კომუნალური მომსახურების გადასახადი მუნიციპალიტეტში დადგენილი ტარიფებისა და წესის მიხედვით, რაზედაც აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის ორგანიზაციასთან. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში.
3.9. „უზუფრუქტუარს" უფლება აქვს „მესაკუთრესთან" შთანხმებით სარგებლობის უფლებით გასცეს შენობა ან მისი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მხარეების პასუხისმგებლობის და დავის გადაწყვეტის წესი

4.1. უზუფრუქტის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით ან ერთ–ერთი მხარის მოთხოვნით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
4.2. უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე „უზუფრუქტუარსა" და „მესაკუთრეს" შორის წამოჭრილი სადაო საკითხები განიხილება ურთიერთშორის შეთანხმებით.
4.3. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან.
5.2. ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ:
ა/ ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ" შეწყვიტა არსებობა.
ბ/მუნიციპალური ქონება განადგურდა „უზუფრუქტუარისგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება შუძლებელი გახდება.
გ/ ერთ–ერთი მხარის მოთხოვნით.

6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულს თანაბარი ძალა აქვს.

6.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი დავა იხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მესაკუთრე	უზუფრუქტუარი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი იურ. მისამართი: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N25	ა(ა)იპ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"
ხელმოწერა: მარეხი კანკავა	ხელმოწერა: ნინო კუჭუხიძე
უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლი მინდობილობა (06.06.2016) № 31/2319	ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" მმართველის მოადგილე

მიღება–ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. წყალტუბო

22 აგვისტო 2016 წელი

ამ აქტით დასტურდება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მინდობილი პირის მარეხი კანკაძის სახით გადასცემს, ხოლო ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" მმართველის მოადგილის ნინო კუჭუხიძის სახით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აგვისტოს №31 1038 ბრძანების საფუძველზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იღებს ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №17–ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას: საბავშვო ბაგა–ბაღის შენობას და მასზე დამაგრებულ 4219.0 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. საკ. კოდი №29.08.34.110. (ნაკვეთის წინა ნომერი: 29.08.07.096)

მესაკუთრე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
იურ. მისამართი: ქალაქი წყალტუბო,
რუსთაველის ქუჩა N25

ხელმოწერა:

მარეხი კანკაძე

უზუფრუქტუარი

ა(ა)იპ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საბავშვო ბაღების გაერთიანება"

ხელმოწერა:

ნინო კუჭუხიძე

უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლი
მინდობილობა (06.06.2016) № 31/2319

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საბავშვო ბაღების გაერთიანება"
მმართველის მოადგილე